

**სს “ლიბერთი ბანკი”
და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

*2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად*

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თარგმანს ინგლისური ორიგინალიდან

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	6
2. შედგენის საფუძველი.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები.....	25
5. ინფორმაცია სემენტების შესახებ.....	27
6. ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	30
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	30
8. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.....	31
9. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	31
10. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	34
11. საინვესტიციო ქონება.....	34
12. ძირითადი საშუალებები	35
13. არამატერიალური აქტივები	36
14. გადასახადები.....	36
15. სხვა აქტივები და ვალდებულებები.....	39
16. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	40
17. ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე.....	41
18. კაპიტალში პირობითი მონაწილეობის ობლიგაცია.....	41
19. კაპიტალი	43
20. პირობითი ვალდებულებები	45
21. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან.....	46
22. სხვა შემოსავალი.....	47
23. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა საოპერაციო დანახარჯები.....	48
24. რისკების მართვა.....	49
25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	60
26. აქტივებისა და ვალდებულებების ვალიანობის ანალიზი	62
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	62
28. კაპიტალის ადეკვატურობა	64
29. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები.....	66

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს ლიბერთი ბანკი-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს ლიბერთი ბანკი-ს და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2010 წლის 31 დეკემბრით არსებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ამისათვის, ხელმძღვანელობის აზრით აუცილებელია ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას გარანტია, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიეთ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული რწმუნება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სს ლიბერთი ბანკი-ს და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრისათვის, ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2010	2009
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	139,271	108,563
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	7,508	3,829
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	159,166	82,752
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:			
- გასაყიდად არსებული	10	717	2,260
- დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი	10	83,860	1,995
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		-	788
საინვესტიციო ქონება	11	21,115	20,184
ძირითადი საშუალებები	12	92,165	80,145
არამატერიალური აქტივები	13	5,357	4,560
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები	14	630	630
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	14	1,610	1,313
წინასწარი გადახდები		5,614	6,275
სხვა აქტივები	15	13,772	7,746
სულ აქტივები		530,785	321,040
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	16	77,318	54,606
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	17	385,445	246,638
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	182	82
რეზერვები	15	69	80
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	8	102	-
კაპიტალში პირობითი მონაწილეობის ობლიგაცია	18	19,150	-
სხვა ვალდებულებები	15	13,909	10,410
სულ ვალდებულებები		496,175	311,816
კაპიტალი	19		
სააქციო კაპიტალი		28,858	15,721
დამატებით შეტანილი კაპიტალი		19,113	8,529
გამოსყიდული აქციები		(3,371)	(347)
აკუმულირებული ზარალები		(32,692)	(38,036)
სხვა რეზერვები		22,702	23,357
სულ კაპიტალი		34,610	9,224
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		530,785	321,040

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

ვლადიმერ გურგენიძე



აღმასრულებელი თამაჯდომარე და გენერალური დირექტორი

ზურაბ წულაია



ფინანსური დირექტორი

29 აპრილი, 2011

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2010	2009
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		45,771	23,826
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		1,148	275
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		3,268	4
		50,187	24,105
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები მენაბრეთა წინაშე		(24,299)	(10,750)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(4,129)	(9,065)
კაპიტალში პირობითი მონაწილეობის ობლიგაციის			
თამასუქები		(535)	-
სხვა		(74)	(104)
		(29,037)	(19,919)
		21,150	4,186
წმინდა საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივების წმინდა			
გაუფასურების დანარიცხი	7, 9	(9,481)	(16,766)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდგომ		11,669	(12,580)
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	21	32,338	29,774
წმინდა მოგება შვილობილი კომპანიების/შეკავშირე			
საწარმოების გასხვისებიდან		105	14,124
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
- ვაჭრობიდან		4,008	3,324
- საკურსო სხვაობებიდან		(110)	110
შეკავშირე საწარმოების ზარალის წილი		-	(105)
სხვა შემოსავალი	22	5,814	3,850
		42,155	51,077
არასაპროცენტო შემოსავალი			
პერსონალზე გაწეული ხარჯი	23	(25,840)	(20,206)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	23	(14,126)	(14,822)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	12, 13	(5,986)	(6,906)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(671)	(615)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	15	(2,582)	(2,295)
		(49,205)	(44,844)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,619	(6,347)
მოგების გადასახადის სარგებელი	14	110	899
		4,729	(5,448)
წლის მოგება/(ზარალი)			
მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:	19		
- საბაზო მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე (მთლიანი თანხა)		0.0018	(0.0035)
- განზავებული მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე (მთლიანი თანხა)		0.0013	(0.0035)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<u>შენიშვნები</u>	<u>2010</u>	<u>2009</u>
წლის მოგება/(ზარალი)		4,729	(5,448)
სხვა სრული შემოსავალი			
არარეალიზებული (ზარალი)/მოგება გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდებიდან	19	(47)	178
შენობა-ნაგებობების გადაფასება	19	-	(113)
სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	14, 19	7	(27)
წლის სხვა სრული (ზარალი)/მოგება, წმინდა		<u>(40)</u>	<u>38</u>
წლის სხვა სრული მოგება/(ზარალი)		<u>4,689</u>	<u>(5,410)</u>

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	ბანკის აქციონერთათვის განკუთვნილი							
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გამოსყი დული აქციები	გაუნაწილ ებელი მოგება	სხვა რეზერვ ები	სულ	უმცირესო ბის წილი	სულ კაპიტ ალი
31 დეკემბერი, 2008	15,721	8,437	(355)	(45,347)	36,078	14,534	(26)	14,508
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება	-	-	-	(5,448)	38	(5,410)	-	(5,410)
გადაფასების რეზერვის ცვეთა (შენიშვნა 19)	-	-	-	483	(483)	-	-	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვის გადაცემა (შენიშვნა 19)	-	-	-	12,276	(12,276)	-	-	-
შვილობილი კომპანიის გასხვისებიდან წარმოშობილი უმცირესობის წილის გასხვისება	-	-	-	-	-	-	26	26
გამოსყიდული აქციების გაყიდვა (შენიშვნა 19)	-	92	8	-	-	100	-	100
31 დეკემბერი, 2009	15,721	8,529	(347)	(38,036)	23,357	9,224	-	9,224
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	-	-	4,729	(40)	4,689	-	4,689
გადაფასების რეზერვის ცვეთა (შენიშვნა 19)	-	-	-	483	(483)	-	-	-
გაყიდული აქციების გადაფასების რეზერვის გადაცემა	-	-	-	132	(132)	-	-	-
სააქციო კაპიტალის გამოშვება (შენიშვნა 19)	13,137	9,448	-	-	-	22,585	-	22,585
გამოსყიდული აქციების შეძენა (შენიშვნა 19)	-	-	(3,384)	-	-	(3,384)	-	(3,384)
გამოსყიდული აქციების გაყიდვა (შენიშვნა 19)	-	1,136	360	-	-	1,496	-	1,496
31 დეკემბერი, 2010	28,858	19,113	(3,371)	(32,692)	22,702	34,610	-	34,610

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	2010	2009
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		52,253	24,898
გადახდილი პროცენტი		(27,590)	(21,772)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		35,034	31,278
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(2,693)	(1,969)
უცხოურ ვალუტებში განხორციელებული ოპერაციებიდან რეალიზებული წმინდა მოგება		4,110	3,324
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	9, 15	845	1,235
სხვა მიღებული შემოსავალი	22	5,814	3,850
პერსონალზე გაწეული ხარჯი		(24,009)	(20,041)
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები		(14,704)	(10,848)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		29,060	9,955
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(3,651)	(361)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(89,951)	10,315
სხვა აქტივები		(6,235)	(3,089)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		22,677	(26,834)
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		135,449	66,230
სხვა ვალდებულებები		1,509	2,303
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		88,858	58,519
გადახდილი მოგების გადასახადი		(80)	-
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		88,778	58,519
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შეკავშირებული საწარმოებისა და შვილობილი კომპანიების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი		800	10,201
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა		-	(862)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა		(97,428)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვიდან მიღებული შემოსავალი		17,982	-
ძირითადი საშუალებების შექენა		(19,874)	(11,049)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		144	384
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(98,376)	(1,326)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი		10,910	-
დამატებით შეტანილი კაპიტალის ზრდა		9,427	92
გამოსყიდული აქციების გაყიდვა		360	8
კაპიტალში პირობითი მონაწილეობის ობლიგაციიდან მიღებული შემოსავალი		18,615	-
წმინდა ნაღდი ფული საფინანსო საქმიანობიდან		39,312	100
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე		994	110
ფულისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა		30,708	57,403
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, წლის დასაწყისი	6	108,563	51,160
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, წლის ბოლო	6	139,271	108,563

(ათასი ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

სს ლიბერთი ბანკი (შემდეგში “ბანკი”) არის ყოფილი სახელმწიფო ბანკის, აგრომრეწვებანკის საფუძველზე ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება. 1993 წლის 14 აპრილით დათარიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №288 დადგენილების და 1994 წლის 28 მაისით დათარიღებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბანკებისა და საწარმოების ორგანიზაციული ფორმა გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში “სეზ”), საქართველოს ცენტრალური ბანკის მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე, ასევე უცხოურ ვალუტაში საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ლიცენზიების საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან და გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს სავალუტო გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს კომერციულდა საბროკერო მომსახურებებს. მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში და აქვს 204 (2009: 184) ფილიალი და სერვის ცენტრი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ საქართველოში. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, 0162 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74.

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები ფლობდნენ მიმოქცევაში გაშვებული აქციების 1%-ზე მეტს. დანარჩენი აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ მიმოქცევაში გაშვებული აქციების 1%-ზე ნაკლებს.

აქციონერი	2010	2009
	საკუთრების წილი, %	საკუთრების წილი, %
შპს ლიბერთი კაპიტალი	77.34%	91.22%
Stichting Liberty ESOP*	5.61%	-
ბი ჯი კაპიტალი (აქციონერები)	1.43%	-
სხვა აქციონერები (რომლებიც ინდივიდუალურად ფლობენ გამოსყიდული აქციების 1%-ს)	15.62%	8.78%
სულ	100%	100%

* გადაადგმული გადახდის პრინციპით გაყიდული აქციები Stichting Liberty ESOP-სთვის, რომელიც წარმოადგენს აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციის პროგრამის წევრს. შენიშვნა 19.

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში “ჯგუფი”) მშობელ კომპანიას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ საწარმოებს:

ჯგუფის საკუთრების წილი

სახელი	დაარსების ადგილი	დაარსების თარიღი		საქმიანობა
		2010	2009	
შპს ლიბერთი სიქიურითიზ	საქართველო	100%	100%	2 სექტემბერი, 2009 ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა/დილერი
შპს სმარტექსი (ა)	საქართველო	100%	100%	5 იანვარი, 2009 საფოსტო მომსახურება
შპს “Bus Stop”	საქართველო	100%	100%	27 აგვისტო, 2009 გარე სარეკლამო მომსახურება
შპს რიალ მენეჯმენტ კომპანია (ბ)	საქართველო	0%	100%	27 აპრილი, 2009 უძრავი ქონება
შპს საქალაქმშენროექტი	საქართველო	100%	100%	4 სექტემბერი, 2009 უძრავი ქონება
შპს რუსთავის ცენტრალური სალარო	საქართველო	100%	100%	2004 უძრავი ქონება/არ არის მოქმედი

(ა) ცნობილი როგორც შპს საქართველოს სახალხო ფოსტა

(ბ) აღარ წარმოადგენს ჯგუფის შვილობილს, ვინაიდან 2010 წელს შეერწყა ბანკს.

ჯგუფს საერთო ჯამში მართავს დენ კოსტანე პატრიჩიუ.

(ათასი ლარი)

2. შედგენის საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში “ფასს”) შესაბამისად.

ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ქვემოთ.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თითო აქციის ღირებულების გარდა და თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო ვალუტაა ლარი.

რეკლასიფიკაცია

2010 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, ბანკმა განსაზღვრა 2009 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლის შემდეგი რეკლასიფიკაციები, 2010 წლის მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

- სებ-ში ანგარიშების საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებიდან ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე რეკლასიფიკაცია.
- საერთაშორისო გადახდების სისტემებში გაყინული დეპოზიტების რეკლასიფიკაცია საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან სხვა აქტივებზე.

რეკლასიფიკაციის საერთო ეფექტი შემდეგია:

	<i>უწინ გაცხადებული</i>	<i>რეკლასიფიკაცია</i>	<i>კორექტირებული</i>
2009 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება			
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	98,818	9,745	108,563
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14,423	(10,594)	3,829
სხვა აქტივები	6,897	849	7,746

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი ახალი ფასს და ფაისკი და მათი ცვლილებები. ძირითადი ცვლილებების შედეგები იხილეთ ქვემოთ:

ცვლილებები: ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” – ჰეჯირებული საშუალებები

ბასს 39-ის ცვლილებები გამოიცა 2008 წლის აგვისტოში და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილება გაწერს ჰეჯირებულ საშუალებაში ცალმხრივი რისკის ჩართვას და ინფლაციის ჰეჯირებულ რისკად, ან რიგ შემთხვევებში მის ნაწილად განმარტებას. მითითებულია, რომ საწარმოს უფლება აქვს მიიჩნიოს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილება ან ფულადი ნაკადების მერყეობა ჰეჯირებულ საშუალებად. ცვლილებას არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ჯგუფი არ არის ჩართული ამგვარ ოპერაციებში.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 3 “საწარმოთა გაერთიანება” (კორექტირებული 2008 წლის იანვარში) და ბასს 27 “კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება” (კორექტირებული 2008 წლის იანვარში)

კორექტირებული სტანდარტები გამოცემულ იქნა 2008 წლის იანვარში და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს და მის შემდგომ დაწესებული წლიური პერიოდებისათვის. კორექტირებული ფასს 3 წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ცვლილებებს, რასაც გავლენა აქვს აღიარებული გუდვილის თანხაზე, გაერთიანებისა და მის შემდგომ პერიოდში გაცხადებულ შედეგებზე. ბასს 27 მოითხოვს, რომ საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება აღირიცხოს, როგორც კაპიტალის ოპერაცია. შესაბამისად, ამგვარ ცვლილებას არ აქვს გავლენა გუდვილზე, მოგებასა თუ ზარალზე. კორექტირებული სტანდარტი ასევე ცვლის საწარმოს მიერ წარმოქმნილი ზარალების და კონტროლის დაკარგვის აღრიცხვას. კორექტირებული სტანდარტების ცვლილებები ეხება მომავალ პერიოდებს.

ფასს 2 “წილობრივი გადახდა” ჯგუფის ფულადი წილობრივი გადახდის ოპერაციები

კორექტირებული ბასს 2 გამოცემულ იქნა 2009 წლის ივნისში და ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწესებული ფინანსური პერიოდებისათვის. ცვლილებაში განმარტებულია ჯგუფის ფულადი, აქციებზე დაფუძნებული გადახდების ოპერაციების აღრიცხვა და მოცულობა. აღნიშნული ცვლილება ასევე ცვლის ფაისკი 8-ს და ფაისკი 11-ს. ცვლილებას არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკი 17 “არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრებზე”

ფაისკი 17 გამოცემულ იქნა 2008 წლის 27 ნოემბერს და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს და მის შემდგომ დაწესებული წლიური პერიოდებისათვის. ფაისკი 17 ეხება არაფულადი აქტივების პროპორციულ განაწილებას (გარდა საერთო კონტროლის მქონე ოპერაციებისა) და მოითხოვს დასაფარი დივიდენდის აღიარებას, როდესაც დივიდენდი შესაბამისად არის ავტორიზებული და აღარ ეკუთვნის საწარმოს; საწარმომ უნდა აღრიცხოს დასაფარი დივიდენდი გასანაწილებელი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულებით და აღიაროს სხვაობა გადახდილ დივიდენდსა და განაწილებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის მოგების ან ზარალის მუხლებში. ინტერპრეტაცია ასევე მოითხოვს საწარმოსგან დამატებით განმარტებებს, თუ მფლობელებზე გასანაწილებელი წმინდა აქტივები აკმაყოფილებს შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას. ამ ინტერპრეტაციას არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის გაუმჯობესებები

2009 წლის აპრილში ბასსს-მ გამოსცა მისი სტანდარტების ცვლილების მეორე კრებული, რომლის ძირითად მიზანს უზუსტობათა აღმოფხვრა და ტექსტობრივი განმარტებები წარმოადგენდა. ცვლილებათა უმეტესობა ეხება 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწესებულ წლიურ პერიოდებს. წარმოდგენილია ასევე ცალკეული გარდამავალი მუხლები თითოეული სტანდარტისათვის. 2009 წლის აპრილის ცვლილებები – “ფასს-ის გაუმჯობესებები” არ იქონიებს გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ საქმიანობაზე, გარდა შემდეგი ცვლილებებისა, რომლებიც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს იწვევს, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

- ფასს 5 “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები”: განმარტავს, რომ გრძელვადიანი აქტივებისათვის და გასაყიდად გამიზნული ჯგუფებისათვის თუ შეწყვეტილი ოპერაციებისათვის საჭირო განმარტებები მხოლოდ ფასს 5-შია გაწერილი. სხვა სტანდარტებით მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნები ძალაშია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სპეციალურად მოითხოვება ამგვარი აქტივებისა თუ შეწყვეტილი ოპერაციების მიხედვისათვის.
- ფასს 8 “საოპერაციო სეგმენტები”: განმარტავს, რომ სეგმენტური აქტივები და ვალდებულებები საჭიროებს გაცხადებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ამგვარი აქტივები და ვალდებულებები ჩართულია ისეთ შეფასების ერთეულში, რომელსაც იყენებს ზედა რგოლის გადაწყვეტილების მიმღები პირი. ვინაიდან ჯგუფის ზედა რგოლის გადაწყვეტილების მიმღები პირი არ განიხილავს სეგმენტურ აქტივებსა და ვალდებულებებს, ჯგუფი განაგრძობს ამგვარი ინფორმაციის გაცხადებას.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

- ბასს 7 – “ფულადი ნაკადების ანგარიშგება”: საზგასმით გაწერს, რომ მხოლოდ ის დანახარჯი, რომელიც შედეგად აქტივის აღიარებას იწვევს, შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ფულად ნაკადად საინვესტიციო საქმიანობიდან.
- ბასს 36 – “აქტივების გაუფასურება”: განმარტავს, რომ უმსხვილეს ბიზნეს-ერთეულს, რომელზეც შეიძლება განაწილდეს საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი გუდვილი, წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტი ფასს 8-ის შესაბამისად, ვიდრე მოხდებოდეს საანგარიშგებო პროცესისთვის აგრეგირება. ცვლილებას არ ექნება გავლენა ჯგუფზე, ვინაიდან წლიური გაუფასურების შემოწმება ხდება საოპერაციო სეგმენტის დონეზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდაციის საფუძველი 2010 წლის 1 იანვრიდან

შვილობილი კომპანიები, ანუ ის ორგანიზაციები, რომლებშიც ჯგუფს გააჩნია ხმის უფლებისათვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია უფლება აკონტროლოს მათი საქმიანობა, წარმოადგენენ კონსოლიდირებულ საწარმოებს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და მათ აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის უფლების შეწყვეტისას. ყველა კომპანიათაშორისი ოპერაცია, ნაშთები და არარეალიზებული მოგება კომპანიებს შორის ოპერაციებიდან იქვითება სრულად. არარეალიზებული ზარალი ასევე იქვითება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ოპერაცია იძლევა გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიის საკუთრების უფლების წილის ცვლილება კონტროლის ცვლილების გარეშე აღირიცხება როგორც კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებები. ზარალები განეკუთვნება უმცირესობის წილს, მაშინაც კი, როდესაც ეს იწვევს უარყოფით ნაშთს.

თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს საწარმოზე, ის ჩამოწერს საწარმოს აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას, კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს; ასახავს მიღებული საფასურის სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და მოგებაში და ზარალში დეფიციტის მეტობას, ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, რაც უწინ აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.

კონსოლიდაციის საფუძველი 2010 წლის 1 იანვრამდე

ზემოთაღნიშნულ სამომავლო მოთხოვნებთან შედარებით მიღებულ იქნა შემდეგი სხვაობები:

- ჯგუფის მიერ წარმოშობილი ზარალები განეკუთვნება უმცირესობის წილს ნაშთის ნულამდე შემცირებამდე. ყველა შემდგომი ზარალის მეტობა განეკუთვნება მშობელ კომპანიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის დაფარვა სავალდებულოა უმცირესობის წილით.
- კონტროლის დაკარგვისას ჯგუფი აღრიცხავს ინვესტიციას წმინდა აქტივების ღირებულების პროპორციული წილით კონტროლის დაკარგვის თარიღისათვის.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება 2010 წლის 1 იანვრის შემდგომ

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულების გაანგარიშება ხდება შემდეგი კომპონენტების აგრეგირებით: გადახდილი საფასური შესყიდვის დღის სამართლიანი ღირებულებით და მიმღების უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, მიმღები აფასებს უმცირესობის წილს სამართლიანი ღირებულებით ან მიმღების ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად. შექმნის ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების მუხლში.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის საწარმოს, ის აფასებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესაბამისი კლასიფიკაციით და დანიშნულებით, საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად შესყიდვის თარიღისათვის. აღნიშნული მოიცავს ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ხელშეკრულებებში მიმღების მიერ.

თუ საწარმოთა გაერთიანების ეტაპები დასრულებულია, ხდება მიმღების უწინ არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების შექმნის თარიღის სამართლიანი ღირებულების გადაფასება შექმნის თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მიმღების მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შექმნის თარიღისათვის. პირობითი საფასურის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, აღიარებულ უნდა იქნას ბასს 39-ის შესაბამისად მოგებაში ან ზარალში, ან იმგვარად, როგორც სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. თუ პირობითი საფასური კლასიფიცირებულია კაპიტალად, არ ხდება მისი ხელახლა შეფასება, ვიდრე არ მოხდება მისი საბლოლო კონვერტაცია კაპიტალში.

გუდვილი თავდაპირველად აღირიცხება გადახდილ საფასურსა და ჯგუფის შექმნილ ამოცნობად წმინდა აქტივებს და მოსალოდნელ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ გადახდილი საფასური ნაკლებია შექმნილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანებით, იმისდა მიუხედავად, განეკუთვნება თუ არა ჯგუფის სხვა აქტივები და ვალდებულებები აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს თუ ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებს.

როდესაც გუდვილი განეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულთა ჯგუფს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ხდება ამგვარი ოპერაციის გასხვისებით მიღებული მოგების ან ზარალის განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე გუდვილის განსაზღვრა ხდება ამ ოპერაციის ხვედრითი წილის და ფულადი ნაკადების წარმომქმნელი შენარჩუნებული ერთეულის ნაწილის შესაბამისად.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება 2010 წლის 1 იანვრამდე

ზემოაღნიშნულ სამომავლო მოთხოვნებთან შედარებით მიღებულ იქნა შემდეგი სხვაობები:

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხა შესყიდვის მეთოდით. შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებულმა გარიგების ხარჯებმა შეადგინა შესყიდვის ხარჯების ნაწილი. უმცირესობის წილი შეფასებულ იქნა მიმღების ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხა ეტაპობრივად. ნებისმიერი დამატებითი შექმნილი წილი არ ახდენდა გავლენას აღიარებულ გუდვილზე.

როდესაც ჯგუფმა შეიძინა საწარმო, მიმღების მიერ თავდაპირველი კონტრაქტიდან განცალკევებული ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები არ გადაფასებულა შესყიდვისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შედეგად შეიცვალა საკონტრაქტო პირობები, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფულად ნაკადებზე.

პირობითი საფასური აღიარებულ იქნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნდა მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელი იყო ეკონომიკური სარგებლის გადინება და შესაძლებელი იყო აღნიშნულის სანდოდ განსაზღვრა. პირობითი საფასურის შემდგომი კორექტირება გავლენას ახდენს გუდვილზე.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, სადაც ჯგუფი ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები გაიანგარიშება კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოს წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ჯგუფის წილი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ჯგუფი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

გაუნაწილებელი მოგება ჯგუფსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ტრანზაქციებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობით. გაუნაწილებელი დანაკარგები ასევე იქვითება, თუ ტრანზაქცია არ ამტკიცებს გადაცემული აქტივის გაუფასურებას.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის ფარგლებში კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხები და მოთხოვნები, ვადამდე შენარჩუნებული ინვესტიციები ან გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივები, გარემოების მიხედვით. როდესაც ფინანსური აქტივების აღიარება ხდება თავდაპირველად, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო როდესაც ინვესტიციები ასახული არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, ამას ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ნასყიდობის აღიარება ხორციელდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ე.ი. თარიღით, როდესაც ჯგუფი ახორციელებს აქტივის გაყიდვას ან შესყიდვას. ნასყიდობა წარმოადგენს ფინანსური აქტივების ყიდვას ან გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას ბაზარზე საყოველთაოდ დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, როდესაც ჯგუფს შესწევს მათი დაფარვის ვადამდე ფლობის უნარი და აქვს მათი დაფარვის ვადამდე ფლობის განზრახვა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ინვესტიციები ვადამდე შენარჩუნებად ფასიანი ქაღალდებში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინვესტიციის გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრადი გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ ფორმდება დაუყოვნებელი ან მოკლე ვადაში გადაყიდვის განზრახვით და არ კლასიფიცირდება, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან არ განისაზღვრება, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება სესხების და მოთხოვნების ჩამოწერის ან გაუფასურების, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ აქტივებს, განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად და არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველად ისინი აღრიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგების და ზარალის ცალკეულ კომპონენტად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც კაპიტალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი რეკლასიფიცირდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე) ტრანზაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე.

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი მოიცავს წმინდა მიმდინარე ღირებულების დადგენის ტექნიკას, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო მონაცემებთან შედარებას, ოფციონის ფასდადების მოვლების და სხვა შეფასების მოდელების გამოყენებას.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

გაჭეთვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაჭეთვა და მათი წმინდა თანხით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაჭეთვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. როგორც წესი აღნიშნული არ ეხება ურთიერთნათვლის ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ავანსებსა თუ დეპოზიტებს სხვა ბანკებში. თავდაპირველად საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების თანხა აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი მონაწილეობს რიგი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ხელშეკრულებებში, რომლებიც ძირითადად მოიცავს ფიუნერსებს, ფორვარდულ ოპერაციებს, სვოპებს და ოფციონებს სავალუტო გაცვლით და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები ფლობილია სავაჭროდ და აისახება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოწმინის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც წმინდა მოგება/(ზარალი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან ან როგორც წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან ინსტრუმენტის ბუნებიდან გამომდინარე.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები მოიაზრება ცალკეულ წარმოებულ ინსტრუმენტებად და აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული კონტრაქტში გაწერილთან და თავად კონტრაქტი არ არის გამოწერილი სავაჭროდ ან აღიარებული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მუხლების გავლით. განცალკევებული ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სავაჭრო პორტფელში, ხოლო სამართლიანი ღირებულების ცვლილებები - კონსოლიდირებულ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნასესხები სასსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან ფინანსური აქტივის გადაცემის ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ჯგუფი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების წინაშე, მეანაბრების წინაშე და გამოშვებულ სავალლო ფასიან ქაღალდებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარა

I. ფინანსური იჯარა – ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი აღიარებს ფინანსურ იჯარას, როგორც აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საიჯარო ვადის დაწყებისას, იჯარით აღებული ქონების სამართლიანი ღირებულების ტოლი თანხით, ან მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებით თუ ეს თანხა დაბალია. მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას, დისკონტირების ფაქტორად გამოიყენება იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი, თუ შესაძლებელია მისი განსაზღვრა; სხვა შემთხვევაში, გამოიყენება ჯგუფის შეფარდებითი საპროცენტო განაკვეთი. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები ჩართულია, როგორც აქტივის ნაწილი. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ ხარჯსა და გადაუხდელი ვალდებულების შემცირებას შორის. ფინანსური ხარჯი გადანაწილდება საიჯარო ვადის პერიოდებზე იმგვარად, რომ თითოეული პერიოდისათვის წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნაშთზე.

ხარჯები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარისათვის განხორციელებულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული, შეტანილია, როგორც იჯარით აღებულ აქტივად აღიარებული თანხის ნაწილი.

II. საოპერაციო – ჯგუფი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომლის საფუძველზეც მეიჯარის მიერ ეფექტურად არის შენარჩუნებული საკუთრების რისკები და სარგებელი, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარის გადასახადის აღიარება ხარჯებად საოპერაციო იჯარის ფარგლებში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

III. საოპერაციო – ჯგუფი როგორც მეიჯარე

ჯგუფი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ფორმის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, როგორც სხვა შემოსავლისა. მოიჯარისათვის წამახალისებელი ფაქტორების დაგროვილი ღირებულების აღიარება ხდება, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების გამომუშავებისათვის ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი საანგარიშგებო თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის გრაფიკს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვანად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ჯგუფისათვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წელს მოსალოდნელი გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში ხდება ჩამოწერის შეზღუდვა, აღნიშნული კრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ჯგუფის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახული იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისთვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადაზე შენარჩუნებული ინვესტიციებისათვის ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ მომავალ პერიოდში სავარაუდო გაუფასურების მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციებისათვის ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი მოიცავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მინუს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია სხვა სრული შემოსავლების მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის შებრუნება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგების გავლით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა სრულ შემოსავალში აისახება.

გასაყიდად არსებული სავალ ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

რესტრუქტურული სესხები

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურისა და იმის ნაცვლად, რომ მიიღოს მფლობელობაში უზრუნველყოფა. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას. მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობების ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს ხელახლა შეთანხმებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწრა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივის მიერ ფულადი ნაკადების შემოტანის ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი ნაკადების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწრა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას კრედიტორთან ცვლის მეორე, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების ჩამოწრა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური გარანტიები

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებისა და აქცეპტებს. ფინანსური გარანტიები აღირიცხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით, სხვა ვალდებულებებში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან, აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების გაანგარიშება ხდება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ თანხებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა საანგარიშგებო თარიღისათვის.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხულია ღირებულებით, რომელსაც აკლდება ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის მინუს შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმაოდ ხშირად, რათა გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადაფასების დღეს არსებული დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა წარმოადგენს აქტივის გადაფასებულ თანხას. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ჩართული გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში მატება აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტით პირდაპირ იქვითება იმავე აქტივზე უწინ აღიარებული მატება, რომელიც გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვით.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას ცალკეულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობა-ნაგებობა	2%-5%
ავეჯი და მოწყობილობები	15%-20%
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობები	20%-25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-25%
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	15%-25%

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების მშენებლობასთან, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, ისევე როგორც მსგავსი ძირითადი საშუალებისა, იწყება აქტივის მომსახურებაში გადაცემისას.

საინვესტიციო ქონება

ჯგუფი გარკვეულ ქონებას ფლობს საინვესტიციო ქონების სახით, საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონება აღირიცხება შექმნის ღირებულებით, შემდგომი დანახარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი ჩართულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიური ხანგრძლივობის – 5-20 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ინდიკაციის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე, ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ სავარაუდო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ახდენს გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირებას გასაყიდად გამიზნულად, თუ მისი საბალანსო ღირებულება აღდგენილ იქნება გაყიდვის ოპერაციიდან და არა უწყვეტი გამოყენებიდან. მაგალითისთვის, გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი) მზად უნდა იყოს მყისიერი გაყიდვისთვის მიმდინარე პირობებით, ამგვარი აქტივების (ან აქტივების ჯგუფის) გაყიდვის პირობების ანალოგიურად და გაყიდვა უნდა იყოს სავარაუდო.

გაყიდვა სავარაუდოდ მოიაზრება თუ ბანკის ხელმძღვანელობას გეგმაში აქვს გაყიდოს გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი), შესწევს უნარი მოიხილოს მყიდველი და აღნიშნული პროცესი ინიცირებულია. გრძელვადიანი აქტივი (ან აქტივების ჯგუფი) გატანილ უნდა იქნას ბაზარზე, რათა გაყიდოს მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში გონივრულ ფასად და ამასთან გაყიდვა უნდა მოიაზრებოდეს დასრულებულ ოპერაციად ერთი წლის განმავლობაში გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივად კლასიფიცირების შემდგომ.

ჯგუფი აღრიცხავს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს (აქტივების ჯგუფს) მის საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის (მინუს გაყიდვის ხარჯი) უმცირესით. ჯგუფი აღიარებს გაუფასურების ზარალს აქტივის ყველა თავდაპირველი თუ შემდგომი ჩამოწერისთვის სამართლიან ღირებულებამდე, მინუს გაყიდვის ხარჯი, თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიუთითებენ საბალანსო ღირებულების გაუფასურებაზე.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

გამოსყიდული აქციები

როდესაც ბანკი ან მისი შვილობილი კომპანია შეიძენს ბანკის წილს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ საოპერაციო თანხებთან ერთად (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, ხდება მიღებული საფასურის ჩართვა კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

სეგმენტების მიხედვით ანგარიშგება ეფუძნება შემდეგ საოპერაციო სეგმენტებს: საცალო საბანკო მომსახურება, კორპორატიული და კომერციული მომსახურება, კერძო საბანკო და კორპორატიული ცენტრის მომსახურება.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მაგრამ ნაჩვენებია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ფულადი სახსრების გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით არის დაბალი. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა ნაჩვენებია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება არის მოსალოდნელი.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფს არ გააჩნია საპენსიო სქემა საქართველოს საპენსიო სქემის გარდა. ჯგუფს ასევე არ გააჩნია სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო ვალდებულებები, რომლებიც მოითხოვს დარიცხვას.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამოზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად დაფარვებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის მანძილზე ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარებულია როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მისი კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებიდან. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

- *შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან დარიცხულია იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიო მოსაკრებლიდან და აქტივების მართვიდან, მეურვეობისა და სხვა მმართველობის და საკონსულტაციო გადასახადებს. სასესო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა მზარდ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

- *შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

თანხები მიღებული მესამე მხარეთა ოპერაციებთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან – როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები დაკავშირებული გარიგებებთან აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების შედგენის დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას მინუს ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება ოპერაციის დღის გაცვლითი კურსით. არაფულადი საშუალებები, რომლებიც აღირიცხება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას მინუს ზარალის მუხლში. 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	<u>29 აპრ. 2011</u>	<u>31 დეკ. 2010</u>	<u>31 დეკ. 2009</u>
ლარი/1 აშშ დოლარი	1.6388	1.7728	1.6858
ლარი/1 ევრო	2.4285	2.3500	2.4195

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ცვლილებები: ბასს 32 “ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა”: უფლებების კლასიფიკაცია
2009 წლის ოქტომბერში, ბასს-მ გამოსცა ბასს 32-ის ცვლილება. საწარმოები მიიღებენ აღნიშნულ ცვლილებას 2010 წლის 1 თებერვალს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრეული მიღებაც. ცვლილება აკორექტირებს ფინანსური ვალდებულების განმარტებას ბასს 32-ში უფლებების კლასიფიკაციის მიზნით და განმარტავს რიგ ოფციონებსა და გარანტიებს, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტებს. აღნიშნული ძალაშია, თუ უფლებები მინიჭებულ იქნა საწარმოს არაწარმოებული კაპიტალის ინსტრუმენტების ანალოგიური კლასის ყველა მფლობელისათვის პროპორციული წესით, ამგვარი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის ფიქსირებულ თანხად შესასყიდად ნებისმიერ ვალუტაში. ჯგუფი არ ელის, რომ აღნიშნულ ცვლილებას გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”

2009 წლის ნოემბერში ბასს-მ პირველად გამოსცა ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები. აღნიშნული სტანდარტი საბოლოოდ ჩაენაცვლება ბასს 39-ს – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული ფინანსური წლებისათვის. საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ აღნიშნული სტანდარტი 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. პირველადი ფასს 9 წარმოადგენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მოთხოვნებს. კერძოდ, შემდგომში შეფასების მიზნით, ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულ უნდა იქნას ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. კაპიტალის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, უპირობოდ უნდა იქნას შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის გავლით. ჯგუფი ამჟამად აფასებს, თუ რა გავლენა ექნება ახალი სტანდარტის მიღებას და განიხილავს პირველადი მიღების თარიღს.

ფაისკი 19 “ფინანსური ვალდებულებების კაპიტალის ინსტრუმენტებით გაქვითვა”

ფაისკი 19 გამოცემულ იქნა 2009 წლის ნოემბერში და ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ინტერპრეტაცია განმარტავს აღრიცხვას მაშინ, როდესაც ხდება ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურისაცა და შედეგად საწარმო უშვებს კაპიტალის ინსტრუმენტებს კრედიტორზე ფინანსური ვალდებულების სრულად დასაფარად. ფაისკი 19-ს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის გაუმჯობესებები

2010 წლის მაისში ბასს-მ გამოსცა მისი სტანდარტების ცვლილების მესამე კრებული, რომლის ძირითად მიზანს უზუსტობათა აღმოფხვრა და ტექსტობრივი განმარტებები წარმოადგენდა. ცვლილებათა უმეტესობა ეხება 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. წარმოდგენილია ასევე ცალკეული გარდამავალი მუხლები თითოეული სტანდარტისთვის. 2010 წლის მაისის ცვლილებები – “ფასს-ის გაუმჯობესებები” იქონიებს გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ საქმიანობაზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება: ამცირებს შეფასების არჩევანს. მხოლოდ უმცირესობის წილის კომპონენტები, რომლებიც მიმდინარე მფლობელობის წილს წარმოადგენენ და ლიკვიდაციის შემთხვევაში მათ მფლობელებს ანიჭებენ საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციულ წილს, უნდა აღირიცხონ სამართლიანი ღირებულებით, ან მიმდების ამოცნობადი წმინდა აქტივების მიმდინარე მფლობელობის ინსტრუმენტების პროპორციული წილით. ვინაიდან ცვლილება მიღებულ უნდა იქნას ჯგუფის მიერ კორექტირებული ფასს 3-ის მიღების თარიღით, შესაძლოა საჭირო გახდეს ხელახლა განცხადება, კორექტირებული ფასს 3-ის ეფექტის ასახვის მიზნით, თუმცა ეს უნდა მოხდეს ცვლილების მიღებამდე. ჯგუფი არ ელის, რომ ფასს 3-ის სხვა ცვლილებები გავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათასი ლარი)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები (გაგრძელება)

- ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები; წარმოადგენს ცვლილებებს რაოდენობრივ და საკრედიტო რისკის განმარტებით შენიშვნებში. დამატებითი მოთხოვნები სავარაუდოდ იქონიებს მცირე გავლენას, რადგან მოითხოვება მზა ინფორმაცია.
- ბასს 34 - შუალედური ფინანსური ანგარიშგება: მოითხოვს დამატებით განმარტებით შენიშვნებს გარემოებებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებასა და კლასიფიკაციაზე. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დონეებს შორის გადაადგილებაზე, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და პირობითი ვალდებულებებისა და აქტივების ცვლილებებზე. დამატებითი განმარტებები წარმოდგენილ იქნება ჯგუფის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ფასს 1-ის, ბასს 1-ის, ბასს 27-ის და ფასი 13-ის ცვლილებები არ იქონიებს გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე.

ცვლილებები: ფასს 7 “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები”

ცვლილებები გამოცემულ იქნა 2010 წლის ოქტომბერში და ძალაშია 2011 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ცვლილებებით მოითხოვება დამატებითი განმარტებები გადაცემული ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არ არის ჩამოწერილი. ჯგუფი არ ელის, რომ აღნიშნულ ცვლილებას გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ცვლილებები: ბასს 12 “მოგებიდან გადასახადი” – გადავადებული გადასახადი, აქტივის აღდგენა

2010 წლის დეკემბერში ბასს-მ გამოსცა ბასს 12-ის ცვლილება, რომელიც ძალაშია 2012 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ბასს 12 ასახავს დაშვებას, რომ საინვესტიციო ქონების გადავადებული გადასახადი, შეფასებული ბასს 40-ის მოდელის სამართლიანი ღირებულებით უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა მოხერხდება გაყიდვის გზით; ასევე მოთხოვნას, რომ არაცვეთადი აქტივების გადავადებული გადასახადი, შეფასებული ბასს 16-ის გადაფასების მოდელით, ყოველთვის შეფასებულ იქნას გაყიდვის მეთოდით. ჯგუფი ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილების მიღების გავლენას.

(ათასი ლარი)

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას იქონიებს საბალანსო ანგარიშგების შედეგის დღეს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო თანხებზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ შემოსავალსა და ხარჯზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომელების ვითარებისამებრ ითვლება კეთილგონივრულად. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა ვარაუდისა თუ გარემოებების დროს. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის.

სესხების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფის მიერ რეგულარულად ხდება სესხების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ჯგუფი ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს, რათა აღიაროს სესხებისა და მოთხოვნების პორტფელის გაუფასურება. ჯგუფი სესხებისა და მოთხოვნების რეზერვის გაუფასურების სააღრიცხვო შეფასებებს განიხილავს, როგორც შეფასების განუსაზღვრელობის ძირითად წყაროს, ვინაიდან (i) ეს შეფასებები მიდრეკილია ცვლილებისკენ პერიოდთან პერიოდამდე, რადგან დაშვებები ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ასევე გაუფასურებულ ხარჯებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალების შეფასება დამოკიდებულია საქმიანობის უკანასკნელ გამოცდილებაზე, და (ii) ჯგუფს მოეთხოვება ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფის სავარაუდო ზარალსა და რეალურ ზარალს შორის აღრიცხოს რეზერვში, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს მომავალი პერიოდების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფი იყენებს ხელმძღვანელობის შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე ჯგუფი აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას წარსულ შედეგებზე, მომხმარებლის წინა ქმედებებზე, იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსისა, ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა, რაც დაკავშირებულია ვალდებულებების დარღვევასთან. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებებსა და ანალოგიური სესხების ჯგუფის გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ჯგუფი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხების ხელმისაწვდომი მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით, რომლებიც არ არის ასახული ისტორიულ მონაცემებში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ხდება არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის საფუძველზე. ჯგუფისთვის შეუძლებელია წინასწარ განსაზღვროს, თუ რა ცვლილებები მოხდება საქართველოში და რა გავლენა ექნება ასეთ ცვლილებებს მომავალ პერიოდში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

(ათასი ლარი)

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად არსებული, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომლითაც შესაძლოა ინსტრუმენტი გაიცვალოს მსურველ მხარეებს შორის, იძულებითი ან ლიკვიდაციისას გაყიდვის გარდა. თუ ფინანსური ინსტრუმენტისთვის არსებობს საბაზრო ფასი, მაშინ სამართლიანი ღირებულება გამოითვლება საბაზრო ფასზე დაყრდნობით. როდესაც შეფასების პარამეტრები არ არის წარმოდგენილი ბაზარზე, ან შეუძლებელია საბაზრო ფასებით მათი განსაზღვრა, სამართლიანი ღირებულება გამოდინარეობს თითოეული პროდუქტის შესაბამისი საბაზრო მონაცემების ანალიზისა და ფასწარმოქმნის იმ მოდელებიდან, რომლებიც იყენებენ მათემატიკურ მეთოდოლოგიებს და ფინანსურ თეორიებს. ფასწარმოქმნის მოდელები ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების საკონტრაქტო პირობებს, ასევე საბაზრო პირობებიდან გამომდინარე შეფასების პარამეტრებს, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი, მერყეობა, გაცვლითი კურსები და კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგი. როდესაც შეფასებისთვის საბაზრო მონაცემები არ არსებობს, ხელმძღვანელობა აკეთებს დაშვებას პარამეტრის საუკეთესო შეფასებაზე, რათა გონივრულად განსაზღვროს, თუ როგორ ფასს დაადგება ბაზარი ინსტრუმენტს. ამ დაშვებისთვის გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც მოიცავს არსებულ სარწმუნო მონაცემებს, ისტორიულ მონაცემებს და ექსტრაპოლაციის ტექნიკებს. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის ტრანზაქციის ფასი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინსტრუმენტის შეფასება ხდება არსებულ საბაზრო მონაცემებთან შედარებით. სხვაობა ტრანზაქციის ფასსა და შეფასების ტექნიკაზე დაფუძნებულ ღირებულებას შორის არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღრიცხვისას.

შემდგომი მოგებისა თუ ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიქმნება იმ ფაქტორის ცვლილებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავენ ფასის დასადგენად.

იქ, სადაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასი, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან დაკავშირებულ ბუღალტრულ შეფასებებს განიხილავს, როგორც შეფასების განუსაზღვრელობის ძირითად წყაროს, ვინაიდან (i) ეს შეფასებები საკმაოდ მიდრეკილია ცვლილებისკენ პერიოდებიდან პერიოდამდე, რადგან ისინი ხელმძღვანელობისგან მოითხოვენ საპროცენტო განაკვეთებზე, მერყეობაზე, გაცვლით კურსებზე, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებსა და ტრანზაქციის გარკვეულ მახასიათებლებზე დაშვებას; (ii) გავლენა, რომელიც ექნება შეფასებაში ცვლილების აღიარებას საბალანსო ანგარიშგებაში გაცხადებულ აქტივებზე, ასევე მოგება-ზარალზე, შეიძლება იყოს არსებითი. ხელმძღვანელობას რომ გამოეყენებინა სხვა შეფასებები საპროცენტო განაკვეთების, მერყეობის, გაცვლითი კურსის, კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგის და შეფასების კორექტირების დაშვებისას, ეს ფაქტი გამოიწვევდა დიდ ან მცირე ცვლილებას იმ ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაში, რომელთათვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასი. ამ ცვლილებებს შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონოდა ჯგუფის გაცხადებულ წმინდა შემოსავალზე.

(ათასი ლარი)

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

რიგი ძირითადი საშუალებებისა (მიწა და შენობა-ნაგებობები) აღირიცხება გადაფასებული თანხით. უკანასკნელი შეფასება მოხდა 2008 წლის 31 დეკემბერს. მომდევნო გადაფასების სავარაუდო თარიღად დადგენილია 2011 წლის 31 დეკემბერი. უკანასკნელი გადაფასების თარიღის შემდგომ უძრავი ქონების ბაზარზე ადგილი არ ჰქონია ისეთ არსებით ცვლილებებს, რომლებიც მოითხოვდა არსებული ძირითადი საშუალებების მოულოდნელ გადაფასებას. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლები აღირიცხება სხვაობით თვითღირებულებასა და დაგროვილ ცვეთასა და დაგროვილ გაუფასურების ზარალს შორის. ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საინვესტიციო ქონების შეფასება

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდზე დაყრდნობით. აღნიშნული ითვალისწინებს ნებისმიერი მიმდინარე იჯარის ხელშეკრულების და სხვა ხელშეკრულებების პირობებს და როდესაც ეს ხელმისაწვდომია, ისეთ მტკიცებულებებს, როგორებიცაა ანალოგიური ძირითადი საშუალებების იჯარის მიმდინარე საბაზრო ფასი, შესადარისი ადგილმდებარეობა და პირობები. გამოიყენება დისკონტირების განაკვეთები, რომლებიც ფულად ნაკადებთან მიმართებაში ასახავს მიმდინარე ბაზრის განუსაზღვრელობის შეფასებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების დაშვებები მოიცავს მიწის იჯარასთან თუ შესყიდვასთან დაკავშირებულ ფულადი სახსრების გადინების პროგნოზს. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული ძირითადი დაშვებები განმარტებულია შენიშვნაში 11 ქვემოთ.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ხელმძღვანელობის მიზნებისათვის ჯგუფი ორგანიზებულია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად, რომლებიც ეფუძნება პროდუქტებსა და მომსახურებას:

საცალო საბანკო მომსახურება	ძირითადად მართავს ინდივიდუალური მომხმარებლების დეპოზიტებს, გასცემს სამომხმარებლო სესხებს, ოვერდრაფტებს, საკრედიტო ბარათებსა და უზრუნველყოფს სახსრების გადარიცხვის საშუალებებს.
----------------------------	--

კორპორატიული და კომერციული მომსახურება	ძირითადად გასცემს სესხებსა და სხვა საკრედიტო საშუალებებს კორპორატიულ და ინსტიტუციონალურ მომხმარებლებზე, ასევე მართავს მათ დეპოზიტებსა და მიმდინარე ანგარიშებს.
--	--

კორპორატიული ცენტრი	ძირითადად ბანკის ყველა საოპერაციო სეგმენტს უწევს ადმინისტრაციულ მომსახურებას.
---------------------	---

სხვა	სეგმენტები, რომლებიც ზემოთ არ არის კლასიფიცირებული.
------	---

(ათასი ლარი)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა აკვირდება ბიზნეს ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს სახსრების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგი, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია განმარტებული, შეფასებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალისგან განსხვავებულად. მოგების გადასახადის მართვა ხდება ჯგუფურ საფუძველზე და არ ნაწილდება საოპერაციო სეგმენტებზე.

საოპერაციო სეგმენტებს შორის გარიგებები ხდება საბაზრო ფასით, ისევე როგორც მესამე პირთან ტრანზაქციებისას.

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 17,015 ლარს (2009: 17,323 ლარი) რაც წარმოადგენს ჯგუფის მიერ 2010 წლის მანძილზე მიღებული შემოსავლის 18%-ს (2009: 23%).

2010	საბანკო საბანკო მომსახურება	კორპორატი ული საბანკო მომსახურე ბა	პირადი ბანკირის მომსახურე ბა	კორპორა- ტიული ცენტრი	სხვა	შესწორებე ბი და გაქტივებები	ჯამი
შემოსავალი							
მესამე მხარე							
საპროცენტო შემოსავალი	32,602	7,363	1,036	9,194	38	(46)	50,187
წმინდა შემოსავალი							
გასამრჯელოდან და							
საკომისიო მოსაკრებლიდან	19,451	8,669	80	4,179	(44)	3	32,338
წმინდა მოგება გასაყიდად							
არსებული საინვესტიციო							
ფასიანი ქაღალდებიდან	-	-	-	-	105	-	105
უცხოური ვალუტებიდან							
მიღებული წმინდა მოგება	781	585	117	2,420	(5)	-	3,898
სხვა შემოსავალი	268	2,469	130	268	3,398	(719)	5,814
სულ შემოსავალი	53,102	19,086	1,363	16,061	3,492	(762)	92,342
საპროცენტო ხარჯი	(14,364)	(7,998)	(727)	(5,948)	(196)	196	(29,037)
საპროცენტო სარგებლის							
მქონე აქტივებზე წმინდა							
გაუფასურების დანარიცხი	(1,974)	(4,047)	(40)	(3,421)	1	-	(9,481)
თანამშრომლებზე გაწეული							
ხარჯი	(18,325)	(3,878)	(245)	(2,312)	(1,167)	87	(25,840)
ცვეთა, ამორტიზაცია და							
გაუფასურება	(3,547)	(886)	-	(1,477)	(2,024)	1,948	(5,986)
სხვა გაუფასურება და							
რეზერვები	(1,449)	(835)	(58)	(126)	(119)	5	(2,582)
ზოგადი და							
ადმინისტრაციული და							
სხვა საოპერაციო ხარჯები	(7,743)	(2,190)	(216)	(4,071)	(1,110)	533	(14,797)
შედეგი სეგმენტების							
მიხედვით	5,700	(748)	77	(1,294)	(1,123)	2,007	4,619
მოგების გადასახადის							
სარგებელი							110
წლის მოგება							4,729
აქტივები სეგმენტების							
მიხედვით	324,561	168,575	11,637	25,523	3,159	(2,670)	530,785
ვალდებულებები							
სეგმენტების მიხედვით	158,927	280,115	36,338	20,877	812	(894)	496,175
სხვა ინფორმაცია							
ინვესტიციები მუკავშირე							
საწარმოებში	-	-	-	-	-	-	-
ზარალის წილი მუკავშირე							
საწარმოებში	-	-	-	-	-	-	-

(ათასი ლარი)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

2009	საცალო საბანკო მომსახურება	კორპორატი ული საბანკო მომსახურე ბა	პირადი ბანკირის მომსახურე ბა	კორპორა- ტიული ცენტრი	სხვა	შესწორებე ბი და გაჭეთვები	ჯამი
შემოსავალი							
მესამე მხარე							
საპროცენტო შემოსავალი	13,922	4,758	631	4,814	-	(20)	24,105
წმინდა შემოსავალი							
გასამრჯელოდან და							
საკომისიო მოსაკრებლიდან	16,958	9,007	87	3,723	-	(1)	29,774
წმინდა მოგება გასაყიდად							
არსებული საინვესტიციო							
ფასიანი ქაღალდებიდან	502	377	76	1,556	(1)	924	3,434
სხვა შემოსავალი	3,324	3,324	82	4,580	1,066	5,598	17,974
სულ შემოსავალი	34,706	17,466	876	14,673	1,065	6,501	75,287
საპროცენტო ხარჯი	(8,470)	(6,087)	(206)	(5,156)	(20)	20	(19,919)
საპროცენტო სარგებლის							
მქონე აქტივებზე წმინდა							
გაუფასურების დანარცხი	(553)	(19,131)	(17)	2,935	-	-	(16,766)
მეკავშირე საწარმოში							
ზარალის წილი	-	(105)	-	-	-	-	(105)
თანამშრომლებზე გაწეული							
ხარჯი	(14,528)	(3,332)	(203)	(1,732)	(411)	-	(20,206)
ცვეთა, ამორტიზაცია და							
გაუფასურება	(2,950)	(737)	-	(1,229)	(52)	(1,938)	(6,906)
სხვა გაუფასურება და							
რეზერვები	-	-	-	(2,295)	-	-	(2,295)
ზოგადი და							
ადმინისტრაციული და							
სხვა საოპერაციო ხარჯები	(7,269)	(2,485)	(181)	(5,429)	(421)	348	(15,437)
შედგვი სეგმენტების							
მიხედვით	936	(14,411)	269	1,767	161	4,931	(6,347)
მოგების გადასახადის							
სარგებელი							899
წლის მოგება							(5,448)
აქტივები სეგმენტების							
მიხედვით	196,653	64,210	2,552	59,587	6,384	(8,346)	321,040
ვალდებულებები							
სეგმენტების მიხედვით	118,283	166,113	15,416	11,965	614	(575)	311,816
სხვა ინფორმაცია							
ინვესტიციები მეკავშირე							
საწარმოებში	-	-	-	788	-	-	788
ზარალის წილი მეკავშირე							
საწარმოებში	-	-	-	(105)	-	-	(105)

(ათასი ლარი)

6. ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს:

	<i>2010</i>	<i>2009</i>
ნაღდი ფული	49,709	44,075
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	13,662	34,308
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	59,354	19,664
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	16,546	10,516
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	139,271	108,563

2010 წლის 31 დეკემბრისთვის 53,226 ლარი (2009: 16,794 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე და ვადიან ანაბრებზე საერთაშორისოდ აღიარებულ OECD ბანკებთან, რომლებიც მონაწილე მხარეებად გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადახდებში.

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	<i>2010</i>	<i>2009</i>
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	5,636	3,611
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ან გადავადებული ვადიანი ანაბარი	1,872	218
მინუს – გაუფასურების რეზერვი	-	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,508	3,829

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საპროცენტო სარგებლის მქონე ფულადი სახსრების დეპოზიტი სებ-ში, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულების მიერ მოზიდულ სახსრებზე. ჯგუფის უფლება ამგვარი დეპოზიტების გამოტანასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,872 ლარი (2009: 218 ლარი) განთავსდა მიმდინარე ანგარიშებზე და ბანკთაშორის დეპოზიტებზე საერთაშორისოდ აღიარებულ OECD ბანკებთან, რომლებიც მონაწილე მხარეებად გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გადახდებში.

ჯგუფის რისკების შეფასება ხორციელდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც განიხილავს როგორც მოსალოდნელ დანაკარგს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნორმალურ ვითარებაში, ასევე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც ფასდება წარსულში განცდილი ზარალის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მოდელი იყენებს ალბათობას ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც კორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ჯგუფი განიხილავს ყველაზე უარესი სცენარის შესაძლო შედეგებს იმის გათვალისწინებით, რომ დადგა ისეთი ექსტრემალური პირობები, რომელთა დადგომა ნაკლებსავარაუდოა.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას და საბაზრო გარემოს ისევე, როგორც რისკის დონეს, რომელიც ჯგუფს სურს მიიღოს, შერჩეულ დარგზე დამატებითი კონცენტრირებით. გარდა ამისა, ჯგუფი მონიტორინგს უწევს და აფასებს მთლიან რისკის შესაძლებლობას საერთო რისკთან მიმართებაში რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის, რისკების კომიტეტისთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების მმართველისთვის. ანგარიში შეიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, შეზღუდვების გამონაკლისებს, ლიკვიდობის კოეფიციენტებს და რისკის პროფილის ცვლილებებს. ყოველთვიურად მზადდება დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დარგის, მომხმარებლის და გეოგრაფიული რისკების შესახებ. ხელმძღვანელობა კვარტალურად აფასებს საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შესაბამისობას. დირექტორთა საბჭო რისკის შესახებ დეტალურ ანგარიშს იღებს კვარტალში ერთხელ, რომელიც აწვდის საჭირო ინფორმაციას ჯგუფის რისკების შეფასებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით.

რისკების შესახებ სპეციალურად მომზადებული ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ჯგუფის ყველა დონეზე, რათა ყველა განყოფილებას შეეძლოს ყოველისმომცველი, სათანადო და განახლებული ინფორმაციის ხილვა.

მმართველთა საბჭოს და ჯგუფის ყველა შესაბამის თანამშრომელს უტარდება ყოველდღიური ბრიფინგი საბაზრო შეზღუდვების, ქონებრივი ინვესტიციებისა და ლიკვიდობის, ასევე სხვა რისკის განვითარების შესახებ.

ჯგუფი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას, რათა შეამციროს საკრედიტო რისკი (უფრო დეტალურად იხილეთ ქვემოთ).

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

რისკის გადაჭარბებული კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან მსგავს საქმიანობებში, ან საქმიანობებში ერთი და იგივე გეოგრაფიულ ერთეულში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რაც განაპირობებს მათ უნარს, შეასრულონ საკონტრაქტო ვალდებულებები, რომლებზეც ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკაში, პოლიტიკაში და სხვა პირობებში ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ჯგუფის საქმიანობის შეფარდებით მგრძობიერებაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

რისკების გადაჭარბებული კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, ჯგუფის პოლიტიკა და პროცედურები შეიცავს სპეციალურ მითითებებს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებაზე. საკრედიტო რისკების განსაზღვრული კონცენტრაცია იმართება შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს დანაკარგი, ვინაიდან მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს მათი საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს რისკის მოცულობაზე ისეთი შეზღუდვების დადგენით, რომლებიც მისთვის მისაღებია ცალკეულ კონტრაგენტებთან დაკავშირებით და გეოგრაფიული და სამრეწველო კონცენტრაციებისათვის, ასევე ამგვარ შეზღუდვებთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგით.

ჯგუფმა შეიმუშავა კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული იდენტიფიკაცია, მათ შორის გირაოს რეგულარული შემოწმებები. გარიგებაში მონაწილე მხარის შეზღუდვები დგინდება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით, რომელიც თითოეულ მონაწილე მხარეს ანიჭებს რისკის რეიტინგს. რისკის რეიტინგი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებებს. კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს შესაძლო რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის საკრედიტო რისკის ზღვარი განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წელიწადში ორჯერ. მსესხებლის მიერ ზღვრების დარღვევის მონიტორინგი ხდება ახლად გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტმა შეიძლება შეიტანოს გარკვეული ცვლილებები ზღვრებში; აღნიშნული უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

სადაც სავალდებულოა და სესხების უმეტეს ნაწილში, ჯგუფი მოიპოვებს გირაოს და კომპანიის გარანტიებს. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი უზრუნველყოფის მოპოვება შეუძლებელია.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ჯგუფი თავის კლიენტებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, საიდან გამომდინარეც, ჯგუფს შესაძლოა მათ ნაცვლად დასჭირდეს გადახდები. ასეთი თანხები გროვდება ხელშეკრულების პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ჯგუფი დგას სესხის გაცემისთვის მახასიათებელი რისკების წინაშე. შესაბამისად, ამ რისკების შემცირებაც ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რისკთან დაკავშირებული მაქსიმალური რისკი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისათვის, რომელიც ასევე შეიცავს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. მაქსიმალური რისკი მოცემულია ჯამურად, ყოველგვარი შემცირებისა და უზრუნველყოფის გამოყენების გარეშე.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	შენიშვნები	მაქსიმალური ღონე	მაქსიმალური ღონე
		2010	2009
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	6	89,562	64,488
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	7	7,508	3,829
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	159,166	82,752
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი	10	83,860	1,995
		340,096	153,064
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	20	18,909	753
მთლიანი საკრედიტო რისკი		359,005	153,817

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, ზემოთ ნაჩვენებ მონაცემები წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის ღონეს და არა მაქსიმალურ ღონეს, რომელიც მომავალში შეიძლება გაიზარდოს ღირებულების ცვლილების შედეგად.

მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტის თითოეული ტიპისათვის იხილეთ შესაბამის შენიშვნებში. უზრუნველყოფის გავლენა და რისკის შემცირების სხვა მეთოდები იხილეთ შენიშვნაში 9.

კრედიტის ხარისხიანობა ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

კრედიტის ხარისხიანობა ფინანსური აქტივების მიხედვით იმართება ჯგუფის შიდა საკრედიტო რეიტინგით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს სესხთან დაკავშირებული აქტივების საკრედიტო ხარისხს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ცხრილში მოყვანილი კატეგორიებიდან გამომდინარე.

2010 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნები	არც გადაგადაცტილებული და არც გაუფასურებული	გადაგადაცტილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	ინდივიდუალურად გაუფასურებული	სულ
		2010	2010	2010	2010
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	7,508	-	-	7,508
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9				
იურიდიულ პირებზე		35,859	2,318	28,701	66,878
საპენსიო ავანსები		45,103	-	252	45,355
სახელფასო ავანსები		36,225	800	1,031	38,056
სამომხმარებლო სესხები		21,318	1,816	5,611	28,745
იპოთეკური სესხები		4,755	156	-	4,911
		143,260	5,090	35,595	183,945
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადამდე ფლობილი	10	83,860	-	-	83,860
		83,860	-	-	83,860
სულ		234,628	5,090	35,595	275,313

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2009 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნები	არც	ვადაგადაცილებული,	ინდივიდუალურად	სულ
		ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	მაგრამ არა გაუფასურებული	გაუფასურებული	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	2009	2009	2009	2009
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	3,829	-	-	3,829
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9				
იურიდიულ პირებზე		6,710	1,150	35,543	43,403
საპენსიო ავანსები		28,178	-	290	28,468
სახელფასო ავანსები		14,140	1,776	682	16,598
სამომხმარებლო					
სესხები		9,669	2,989	5,854	18,512
იპოთეკური სესხები		561	-	-	561
		<u>59,258</u>	<u>5,915</u>	<u>42,369</u>	<u>107,542</u>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	10				
დაფარვის ვადამდე ფლობილი		1,995	-	-	1,995
		<u>1,995</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>1,995</u>
სულ		<u>65,082</u>	<u>5,915</u>	<u>42,369</u>	<u>113,366</u>

ვადაგადაცილებული სესხები მოიცავს მხოლოდ იმ სესხებს, რომლებიც, ინდივიდუალურად უმნიშვნელოა და ვადაგადაცილებულია მხოლოდ რამდენიმე დღით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადაგადაცილებული სესხების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ მიიჩნევა გაუფასურებულად.

ჯგუფის პოლიტიკას თანახმად, ჯგუფი აწარმოებს ზუსტ და თანმიმდევრულ რისკ-რეიტინგს საკრედიტო პორტფელის მიმართ, რაც ამარტივებს რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გაფასების შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რისკ-რეიტინგი დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ კომპონენტს რისკის შეფასებისას. რისკის შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და ეფუძნება ჯგუფის სარეიტინგო სტრატეგიას. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით:

31 დეკემბერი, 2010	შენიშვნები	30 დღეზე	31-დან 60	61-დან 90	90 დღეზე	სულ
		ნაკლები	დღემდე	დღემდე	მეტი	
		2010	2010	2010	2010	2010
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9					
იურიდიულ პირებზე		240	287	519	1,272	2,318
სამომხმარებლო სესხები		980	562	274	-	1,816
იპოთეკური სესხები		156	-	-	-	156
სახელფასო ავანსები		652	65	83	-	800
სულ		<u>2,028</u>	<u>914</u>	<u>876</u>	<u>1,272</u>	<u>5,090</u>

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

	<i>30 დღეზე ნაკლები</i>	<i>31-დან 60 დღემდე</i>	<i>61-დან 90 დღემდე</i>	<i>90 დღეზე მეტი</i>	<i>სულ 2009</i>
31 დეკემბერი, 2010	შენიშვნები	2009	2009	2009	2009
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9				
იურიდიულ პირებზე		346	7	767	1,150
სამომხმარებლო სესხები		1,622	596	224	2,989
სახელფასო ავანსები		816	197	467	1,776
სულ		2,784	800	1,458	5,915

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 9.

რესტრუქტურირებული ფინანსური აქტივის მიმდინარე ღირებულება კლასის მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს რესტრუქტურირებული ფინანსური აქტივის მიმდინარე ღირებულებას კლასის მიხედვით:

	2010	2009
კლიენტებზე გაცემული სესხები:		
იურიდიულ პირებზე	23,612	17,701
სამომხმარებლო სესხები	4,786	2,027
სახელფასო ავანსები	421	1,546
იპოთეკური სესხები	156	26
საპენსიო ავანსები	-	-
სულ	28,975	21,300

სესხების გაუფასურების შეფასება

სესხების გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ მოხდა თუ არა ძირის ან პროცენტის ვადაგადაცილება 90 დღეზე მეტი პერიოდით ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში. გარდა ამისა, ყურადღება ექცევა რაიმე სახის არსებულ სირთულეს კონტრაგენტის კრედიტუნარიანობაში, აგრეთვე, თავდაპირველი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს. გაუფასურებული სესხების შეფასებას ჯგუფი ახორციელებს ორი – ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასების რეზერვების მიხედვით.

ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურება

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ჯგუფი ინდივიდუალურად ადგენს შესაფერის გაუფასურებას. გადაწყვეტილება დამოკიდებულია კონტრაგენტის ბიზნეს-გეგმის მდგრადობაზე, ფინანსური პრობლემის გამოსწორების შესაძლებლობაზე ფინანსური სირთულის დადგომის შემდეგ, დაგეგმილ მისაღებ თანხებსა და მოსალოდნელ დივიდენდებზე გაკოტრების შემთხვევაში, სხვა ხელმისაწვდომ ფინანსურ დახმარებაზე, უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროით მანქვენებელზე. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი მიზეზები მოითხოვს უფრო დეტალურ ყურადღებას.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხების მიმართ, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი (მათ შორის საკრედიტო ბარათები, იპოთეკა და უზრუნველყოფის არმქონე სამომხმარებლო სესხების გაცემა) ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების ხარჯები ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც წარმოდგენილია პორტფელში, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ ჩანს. გაუფასურებით მიღებული ზარალი დგინდება შემდეგი სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით: პორტფელთან დაკავშირებული ისტორიული ზარალები, მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა, დროის მონაკვეთის ხანგრძლივობა ზარალის წარმოშობიდან ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის საჭიროების დადგენამდე, აგრეთვე, გაუფასურების შემდგომ მისალოდნელი მისაღები და ამოღებული თანხები. ადგილობრივი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განსაზღვროს დროის ის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც სესხი გაუფასურებულად გამოცხადდება. ზემოაღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობამ შეიძლება ერთი წელიც შეადგინოს. გაუფასურების რეზერვის შესაბამისობას ჯგუფის მთლიან პოლიტიკასთან ამოწმებს რისკების მართვის სამმართველო.

ფინანსური გარანტიები და აკრედიტივები ფასდება და განესაზღვრებათ რეზერვი ისევე, როგორც სესხებთან მიმართებაში.

ჯგუფის ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2010				2009			
	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ბანკები	ჯამი	საქართველო	OECD	დსთ და სხვა უცხოური ბანკები	ჯამი
აქტივები:								
ფული და ფულის ეკვივალენტები	80,636	54,349	4,286	139,271	89,170	16,794	2,599	108,563
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,459	49	-	7,508	3,611	218	-	3,829
სამომხმარებლო სესხები	159,166	-	-	159,166	82,752	-	-	82,752
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:	-	-	-	-	-	-	-	-
- გასაყიდი	446	271	-	717	1,941	319	-	2,260
- ვადის ამოწურვამდე შენარჩუნებული	83,860	-	-	83,860	1,995	-	-	1,995
ყველა სხვა აქტივი	136,265	3,399	599	140,263	117,651	3,990	-	121,641
	467,832	58,068	4,885	530,785	297,120	21,321	2,599	321,040
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	76,902	416	-	77,318	54,007	599	-	54,606
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	102	-	102	-	-	-	-
ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ	357,075	25,407	2,963	385,445	226,587	20,051	-	246,638
პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქები	19,150	-	-	19,150	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	14,160	-	-	14,160	10,572	-	-	10,572
	467,287	25,925	2,963	496,175	291,166	20,650	-	311,816
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	545	32,143	1,922	34,610	5,954	671	2,599	9,224

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ბანკის შესაძლებლობას, დაფაროს ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში. რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა, ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა, იყენებს დაფინანსების დივერსიფიკირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი რანგის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი ფინანსირებისათვის.

ბანკი სხვადასხვა აქტივებს, რომელთა ლიკვიდაციაც მარტივად არის შესაძლებელი ფულადი ნაკადების მოულოდნელი შემცირების შემთხვევაში. ამასთან, ბანკი ფლობს ფულად დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდულ სამომხმარებლო სახსრებზე.

ბანკი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ჯგუფი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი ნარჩენი საკონტრაქტო ვადების მიხედვით

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო არადისკონტირებულ ანაზღაურების ვალდებულებებზე დაყრდნობით. ანაზღაურება რომელიც ექვემდებარება შეტყობინებას, მოიაზრება იმგვარად, თითქოს შეტყობინება მყისიერად მოხდა. თუმცა, ბანკი ელის, რომ შეანაბრება უმრავლესობა არ მოითხოვს ანაზღაურებას იმ ვადაზე ადრე, ვიდრე ეს მოეთხოვება ბანკს. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირების მთლიანი ვადიანი დეპოზიტები შეადგენს 84,950 ლარს, საიდანაც 23,830 ლარის ვადა იწურება სამ თვეში, ხოლო 54,160 ლარის ვადა – 3 დან 12 თვემდე პერიოდში. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ვინაიდან საშუალო ვადიანი დეპოზიტის განახლების მაჩვენებელია 43.49%, 10,363 ლარი და 23,554 ლარს გააჩნია ერთიდან ხუთ წლამდე ვადიანობის განაკვეთი და არა სამ თვეზე ნაკლები ან სამიდან თორმეტ თვემდე ვადიანობის განაკვეთი. 2010 წლის დეკემბერში ფიზიკური პირების ანგარიშებზე ნაშთები (ვადიანი დეპოზიტების გამოკლებით) შეადგენდა 74,926 ლარს. 2009 წლის იანვრის შემდგომ, აღნიშნული ნაშთები არ ყოფილა 42,374 ლარზე ნაკლები. ამ ნაშთების მაქსიმალურ, 20,715 ლარამდე შემცირებას ადგილი ჰქონდა დაახლოებით ხუთი თვის პერიოდის განმავლობაში 2009 წელს. მაშინაც კი, თუ ბანკი განიცდიდა ანალოგიურ კლებას ფიზიკური პირების ანგარიშების ნაშთებში, 54,211 ლარი (2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირების ანგარიშებზე ნაშთები, მინუს ნაშთების მაქსიმალური შემცირება 2009 წელს) ვალდებულებებში შეანაბრება წინაშე მაინც შესაძლოა მოიაზრებოდეს ერთიდან ხუთ წლამდე ვადის მქონე განაკვეთში. 60,013 ლარი ჩართული ვალდებულებებში საკრედიტო დაწესებულებების წინაშე, წარმოადგენს სებ-ის დაფინანსების წყაროს, რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებისა და სებ-ის მიერ გამოშვებული ინსტრუმენტებით, შვიდ დღიანი პერიოდით. სებ-ის პოლიტიკით ასეთი სახსრების გარანტირებისა და გადახდისათვის და მოთხოვნისას რეფინანსირებისათვის, ბანკი უნდა ფლობდეს ამგვარ უზრუნველყოფას. შესაბამისად, ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე შესაძლოა მოიაზრებოდეს ერთიდან ხუთ წლამდე ვადის მქონე განაკვეთში. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია სათანადო ლიკვიდური უზრუნველყოფა, რათა მყისიერი შეტყობინებისას მოიხილოს სებ-იდან 16,169 ლარი. ასევე, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია დასაფარი გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი 45,000 ლარის ოდენობით სებ-ში, რომლის ვადა 2013 წლის 28 ივლისს იწურება.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები	სამ თვეზე ნაკლები	3 დან 12 თვემდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2010 წლის 31 დეკემბერი					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	76,916	107	391	-	77,414
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	317,131	64,421	9,496	418	391,466
სხვა ფინანსური ვალდებულებები	704	3,488	20,022	-	24,214
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	394,751	68,016	29,909	418	493,094

ფინანსური ვალდებულებები	სამ თვეზე ნაკლები	3 დან 12 თვემდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2009 წლის 31 დეკემბერი					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	10,551	31,898	25,132	-	67,581
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	167,086	58,847	30,953	150	257,036
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	399	149	-	561
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	177,650	91,144	56,234	150	325,178

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვჩვენებს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოყენებული სესხის გაცემის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვნა.

	3 თვეზე ნაკლები	3 დან 12 თვემდე	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2010	11,911	5,876	13,387	3,585	34,759
2009	4,126	4,994	11,816	2,399	23,335

ჯგუფის ვარაუდით შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადის ამოწურვის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად განხორციელდა უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ეს ნაჩვენებია ცხრილებში. ეს ნაშთები გათვალისწინებულია გადასახდელ თანხებში სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დინამიკა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. ჯგუფი ახორციელებს საბაზრო რისკის კლასიფიცირებას სავაჭრო ან არა-სავაჭრო პორტფელებად. სავაჭრო და არა-სავაჭრო პოზიციები იმართება და მოწმდება სხვა მგრძობელობის ანალიზების გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში კონცენტრაციის გარდა, ჯგუფს არ აქვს საბაზრო რისკის არაავითარი მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს გავლენა ექნებათ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელია.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 31 დეკემბრითვის არსებულ ცვლადი განაკვეთის არა-სავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს. კაპიტალის მგრძობელობა გამოითვლება 31 დეკემბრისთვის არსებული ფიქსირებულ განაკვეთიანი გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით, საპროცენტო განაკვეთებში სავარაუდო ცვლილებების შედეგების დასადგენად, იმაზე დაყრდნობით, რომ შემოსავლების მრუდზე ადგილი აქვს პარალელურ გადაადგილებას.

<i>გაღუტა</i>	<i>საბაზისო ერთეულის ზრდა 2010</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2010</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2010</i>
აშშ დოლარი	100	-4	-

<i>გაღუტა</i>	<i>საბაზისო ერთეულის კლება 2010</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2010</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2010</i>
აშშ დოლარი	-100	4	-

<i>გაღუტა</i>	<i>საბაზისო ერთეულის ზრდა 2009</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2009</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2009</i>
აშშ დოლარი	100	-6	-

<i>გაღუტა</i>	<i>საბაზისო ერთეულის კლება 2009</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2009</i>	<i>კაპიტალის მგრძობელობა 2009</i>
აშშ დოლარი	-100	6	-

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებისას, რაც გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის ლიმიტებს ვალუტების მიხედვით. აღნიშნული ლიმიტები შესაბამისობაშია სებ-ის მიერ დადგენილ ნორმებთან. პოზიციის ზედამხედველობა წარმოებს ყოველდღიურად.

(ათასი ლარი)

24. რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილებში მითითებულია ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ჯგუფის არასავაჭრო ფინანსური აქტივები, ვალდებულებები და პროგნოზირებადი ფულადი ნაკადები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც კონსოლიდირებული ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). ეფექტი კაპიტალზე არ განსხვავდება ეფექტისგან მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

<i>ვალუტა</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში % 2010</i>	<i>შემოსავლის ეფექტი დაბეგვრამდე 2010</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში % 2009</i>	<i>შემოსავლის ეფექტი დაბეგვრამდე 2009</i>
აშშ დოლარი	(5.02%)	81	(1.28%)	29
ევრო	7.35%	(1)	(12.70%)	(15)
ინგლისური ფუნტი	(9.53%)	(1)	(16.06%)	3
რუსული რუბლი	(14.66%)	0	34.36%	1
უკრაინული გრივნა	(7.19%)	0	3.42%	–

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, სუბიექტური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი სავარაუდოდ ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და რეაგირებით, ჯგუფი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი ითვალისწინებს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, ხელმისაწვდომობას, უფლებამოსილების მინიჭებისა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

(ათასი ლარი)

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: ტექნიკა, რომლისთვისაც ყველა შენატანი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე გაცხადებულია პირდაპირ ან ირიბად; და
- დონე 3: ტექნიკა, რომლის დროსაც გამოიყენება შენატანები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეფუძნებიან გაცხადებულ საბაზრო მონაცემებს.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს იერარქიული დონეების მიხედვით:

<i>2010 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>Level 1</i>	<i>Level 2</i>	<i>Level 3</i>	<i>Total</i>
ფინანსური აქტივები				
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	271	446	-	717
	271	446	-	717
ფინანსური ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	102	-	102
	-	102	-	102
2009 წლის 31 დეკემბერი				
ფინანსური აქტივები				
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	319	1,941	-	2,260
	319	1,941	-	2,260

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ აღწერილია შეფასების ტექნიკით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რაც მოიცავს ჯგუფის იმ დაშვებების შეფასებას, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გააკეთებდნენ ინსტრუმენტის შეფასების დროს.

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასდადების მოდელით, ძირითადად შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სასესო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით, რომელიც ზოგჯერ შეიცავს მხოლოდ ბაზარზე არსებულ მონაცემებს, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. მოდელში შემავალი არასაბაზრო მონაცემები შეიცავს დაშვებებს კომპანიის, რომელშიც ხდება ინვესტიცია, სამომავლო ფინანსური საქმიანობის, მისი რისკის სტრუქტურის შესახებ და ეკონომიკურ დაშვებებს იმ დარგისა და გეოგრაფიული იურისდიქციის გათვალისწინებით, სადაც მოღვაწეობს კომპანია, რომელშიც ხდება ინვესტიცია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში გაწერილია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კლასების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

(ათასი ლარი)

25. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით

	საბალანსო ღირებულება 2010	სამართლიანი ღირებულება 2010	უღიარებელი მოგბა/(ზარალი) 2010	საბალანსო ღირებულება 2009	სამართლიანი ღირებულება 2009	უღიარებელი მოგბა/(ზარალი) 2009
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულადი						
სახსრების ეკვივალენტები	139,271	139,271	-	108,563	108,563	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,508	7,508	-	3,829	3,829	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	159,166	159,166	-	82,752	82,693	59
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:						
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	83,860	84,496	636	1,995	1,995	-
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	77,318	77,318	-	54,606	54,606	-
ვალდებულებები მუდანბრუნა წინაშე	385,445	385,445	-	246,638	246,638	-
პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქები	19,150	19,150	-	-	-	-
არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი უღიარებელი ცვლილება			636			(59)

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღირიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

ვიქსირებული და ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

კოტირებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასით. არაკოტირებული სასესხო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომოვალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სხვა სესხზე მიმდინარე განაკვეთით.

(ათასი ლარი)

26. აქტივებისა და ვალდებულებების ვალიანობის ანალიზი

ცხრილი ქვემოთ გვიჩვენებს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი აღდგენა ან დაფარვა.

	2010			2009		
	ერთი წლის მანძილზე	ერთ წელზე მეტი	სულ	ერთი წლის მანძილზე	ერთ წელზე მეტი	სულ
ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	139,271	-	139,271	108,563	-	108,563
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	7,508	-	7,508	2,762	1,067	3,829
კლიენტებზე გაცემული სესხები	116,677	42,489	159,166	69,872	12,880	82,752
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები						
- გასაყიდად არსებული	-	717	717	-	2,260	2,260
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	32,340	51,520	83,860	1,995	-	1,995
სულ	295,796	94,726	390,522	183,192	16,207	199,399
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	76,933	385	77,318	39,210	15,396	54,606
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	102	-	102	-	-	-
პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქები	370,175	15,270	385,445	220,279	26,359	246,638
სხვა ვალდებულებები	94	-	94	337	120	457
სულ	447,304	34,805	482,109	259,826	41,875	301,701
წმინდა	(151,508)	59,921	(91,587)	(76,634)	(25,668)	(102,302)

იხილეთ შენიშვნა 20 და შენიშვნა 24 “რისკების მართვა” ჯგუფის საკონტრაქტო არადისკონტრირებული ანაზღაურების ვალდებულებებისათვის და ხელმძღვანელობის განხილვები ლიკვიდობის რისკის მართვისა და უარყოფითი ლიკვიდობის აღმოფხვრის შესახებ.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს 24-ის (“დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები”) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა მეორე მხარეზე ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილების მიღების დროს. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება განახორციელონ ისეთი ოპერაციები, რომლებსაც არ ახორციელებენ მხარეები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული. ამავდროულად, ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის განსხვავდება პირობებით, გარემოებებით და თანხებით ოპერაციებისგან მხარეებს შორის, რომლებიც არ არიან დაკავშირებული.

(ათასი ლარი)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

წლის ბოლოსთვის, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული ოპერაციების მოცულობა და შესაბამისი ხარჯები და შემოსავლები შემდეგია:

	2010					2009			
	მშობელი კომპანია	საწარმოები მნიშვნელოვანი გავლენით	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	მშობელი კომპანია	საწარმოები მნიშვნელოვანი გავლენით	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	მეკავშირე საწარმოები	ზედა რგოლის ხელმძღვანელობა
ჯამური დასაფარი სესხი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	239	1,780	-	-	357	302
წლის განმავლობაში გაცემული სესხი	-	-	-	162	215	-	-	5	206
წლის განმავლობაში სესხის დაფარვა	-	-	-	(94)	(1,995)	-	-	(362)	(269)
ჯამური დასაფარი სესხი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	307	-	-	-	-	239
მინუს გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	5	-	-	-	-	5
წმინდა დასაფარი სესხი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	302	-	-	-	-	234
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	-	-	29	6	-	-	4	26
სესხების გაუფასურების დანარიცხი	-	-	-	6	-	-	-	(7)	1
დეპოზიტები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	-
წლის განმავლობაში მიღებული დეპოზიტები	-	17,784	-	177	-	-	-	-	-
წლის განმავლობაში ანაზღაურებული დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-	-	-
დეპოზიტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	17,784	-	177	-	-	-	-	-
პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქები 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,815	-	-	-	-	-	-	-	-
მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით	173	917	-	3,694	790	19,912	-	119	272
დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	59	923	-	21	212	169	-	-	5
საპროცენტო ხარჯი CCP	512	-	-	-	-	-	-	-	-
გამოშვებული პირობითი ვალდებულებები და გარანტიები	-	-	-	-	-	2,529	-	600	-
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	-	96	-	1	-	21	-	14	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	-	133	-	-	-	86	2

(ათასი ლარი)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2010 წლის 31 დეკემბერს საკვანძო პოზიციებზე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 56-ს (2009: 58):

	2010	2009
ხელფასები და სხვა სარგებელი	3,493	2,155
აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია	927	-
საკვანძო პოზიციებზე მყოფ თანამშრომელთა მთლიანი კომპენსაცია	4,420	2,155

28. კაპიტალის ადეკვატურობა

ჯგუფი ინარჩუნებს აქტიურად მართვად კაპიტალის ბაზას, რათა დაფაროს საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები, აგრეთვე გეგმავს კაპიტალის ბაზის შემდგომ გაუმჯობესებას. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობა, სხვა საშუალებებთან ერთად მოწმდება სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით, ასევე 1998 წლის Basel Capital Accord - ის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით ჯგუფის მართვასთან მიმართებაში.

2009 წლის 19 სექტემბრამდე ჯგუფი ვერ ასრულებდა სებ-ის მიერ დაწესებულ, კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მაგრამ 2009 წლის 19 სექტემბერს ჯგუფმა მიიღო ნებართვის წერილი სებ-ისგან, რომლითაც იგი ათავისუფლებს ბანკს კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან 2012 წლამდე. წერილის მიხედვით, არსებული საზედამხედველო კაპიტალი უნდა განიხილებოდეს 108,000 ლარით გაზრდილი. აღნიშნული თანხა უნდა ჩაითვალოს ძირითად (პირველი რიგის) კაპიტალად და უნდა შევიდეს წინდახედულობის კოეფიციენტებში, რაც თავის მხრივ შეუზღუდავად მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს. ბანკის კაპიტალის ბაზის გასამყარებლად შპს ლიბერთი კაპიტალმა, რომელიც ახალ მაკონტროლებელ აქციონერს წარმოადგენს, ბანკის კაპიტალის წილის 91.208%-ის შეძენის შემდეგ ვალდებულია აიღოს შეეცანა 10 მილიონი აშშ. დოლარის ეკვივალენტი ლარში ბანკის სააქციო კაპიტალში, შეძენის თარიღიდან ექვსთვიან პერიოდში. 2009 წლის ოქტომბერში შეტანილი თანხები განთავსდა ბანკის ანგარიშზე როგორც დეპოზიტები, ხოლო 2010 წლის თებერვალში ეს თანხები აღიარებული იქნა, როგორც სააქციო კაპიტალის ზრდა, რაც აღწერილია შენიშვნაში 19. 2010 წელს ბანკმა გამოუშვა 18,615 ლარის ოდენობის პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქები, რომელთაგან 95.7% შეძენილ იქნა შპს ლიბერთი კაპიტალის მიერ როგორც ეს მე-18 შენიშვნაშია აღწერილი და გარდაიქმნება ბანკის ჩვეულებრივ აქციებად, თუ პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი სებ-ის მოთხოვნების მინიმუმზე ნაკლები იქნება 2012 წლის 30 სექტემბერს. 2010 წელს ბანკმა და შპს ლიბერთი სექიურითიმ გაყიდეს 151,508,612 ჩვეულებრივი აცია მესამე მხარე ინვესტორებზე ჯამურ საფასურად – 4,553 ლარი.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ი ბანკებისაგან ითხოვს რისკით შეწონილი აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის – 12%-ის შენარჩუნებას, ასევე რისკით შეწონილი აქტივების ძირითადი (I რიგის) კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტის – 8%-ის შენარჩუნებას, რაც გამოითვლება ბანკის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, რომელიც მომზადებულია სებ-ის მოთხოვნების მიხედვით. 2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ამგვარად გაანგარიშებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ნებართვის წერილის გაუთვალისწინებლად იყო შემდეგი:

	2010	2009
ძირითადი კაპიტალი	5,787	(6,001)
დამატებითი კაპიტალი	5,787	-
მინუს: გამოქვითვები კაპიტალიდან	(1,383)	(5,569)
სულ კაპიტალი	10,191	(11,570)
რისკით შეწონილი აქტივები	362,500	241,967
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	2.81%	(4.78%)

(ათასი ლარი)

28. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

2010 და 2009 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ამგვარად გაანგარიშებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ნებართვის წერილის გათვალისწინებით, როგორც ეს აღწერილია ზემოთ, იყო შემდეგი:

	2010	2009
ძირითადი კაპიტალი	5,787	(6,001)
თეორიული მატება კაპიტალში (I რიგი) ნებართვის წერილის გათვალისწინებით, როგორც აღწერილია ზემოთ	108,000	108,000
დამატებითი კაპიტალი	5,787	(5,814)
მინუს: გამოქვითვები კაპიტალიდან	(1,383)	(5,569)
სულ კაპიტალი	118,191	90,616
რისკით შეწონილი აქტივები	362,500	241,967
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	32.60%	37.45%

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1998 წლის Basel Capital Accord - ის მიხედვით

ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც გაანგარიშებულია 1998 წლის Basel Capital Accord – ის შესაბამისად, შემდგომი ცვლილებებით, რაც მოიცავს საბაზრო რისკებს, 2010 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2010	2009
პირველი რიგის კაპიტალი	15,276	(13,788)
მეორე რიგის კაპიტალი	15,276	- *
მინუს: გამოქვითვები კაპიტალიდან	(3,371)	(347)
სულ კაპიტალი	27,181	(14,135)
რისკით შეწონილი აქტივები	332,500	219,826
პირველი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	4.59%	(6.27%)
მეორე რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	8.17%	(6.43%)

პროფორმა ჰიპოთეკური პირველი რიგის კაპიტალის მანვენებული (პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქების (18,615 ლარი) ჩვეულებრივ აქციებად გარდაქმნა და შედეგად პირველი რიგის კაპიტალის ზრდა)	10.20%	NMF
პროფორმა ჰიპოთეკური მეორე რიგის კაპიტალის მანვენებული (დამატებით ხელმისაწვდომი მეორე რიგის კაპიტალის ჩათვლით (11,307 ლარი), რომელიც ჩართულ უნდა იქნას მეორე რიგის კაპიტალში პირობით კაპიტალში მონაწილეობის თამასუქებად გარდაქმნისას)	17.17%	NMF

**ვინაიდან პირველი რიგის კაპიტალი უარყოფითია, ხელმისაწვდომი მეორე რიგის კაპიტალი არ არის გათვალისწინებული კაპიტალის მოთხოვნების გაანგარიშებისას 1998 წლის Basel Capital Accord - ის მიხედვით.*

(ათასი ლარი)

29. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2011 წლის 28 მარტს ჯგუფმა გაასხვისა მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, შპს ახალსაქქალაქშენპროექტი 18 ლარის საფასურად.

2011 წლის 26 აპრილს ბანკმა გაყიდა 452,910,020 გამოსყიდული და ახლად გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია მთლიან საფასურად 11,322 ლარი ახალ ინვესტორებზე.